

ტექნიკური დავალება

ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს ცენტრალური უბნის ტერიტორიაზე 2010 - 2011 წლებში გაბურღული ჭაბურღილების საექსპლუატაციო კოლონების ფილტრის მექანიკურ გაწმენდაზე

1. გასაწმენდი ჭაბურღილების ადგილმდებარეობა:

- | | | |
|----------------------------------|---|---------------------------------------------------------------------------|
| 1.1. ჭაბურღილი №123 | } | ქ.ბორჯომი, ქვეუბანი „ფაფა“. |
| 1.2. ჭაბურღილი №124 | | მდ.მტკვრის მარჯვენა ნაპირი. |
| 1.3. ჭაბურღილი №124 ^ა | | |
| 1.1. ჭაბურღილი №129 | | - ქ.ბორჯომი, ქვეუბანი „არდაგანი“,
მდ. გუჯარეთის წყლის მარცხენა ნაპირი. |

2. გასაწმენდი ჭაბურღილების კონსტრუქცია:

2.1. ჭაბ. №123

- სიღრმე - 50,0 მ;
- საექსპლუატაციო კოლონის, მათ შორის ფილტრული ნაწილის მასალა - პოლიეთილენი; დიამეტრი - 160 x9,5 მმ (შიგა დიამეტრი 142,0 მმ);
- ფილტრის ჩაშვების ინტ-ლი - 18,0 - 50,0 მ.

2.2. ჭაბ. №124

- სიღრმე - 50,0 მ;
- საექსპლუატაციო კოლონის, მათ შორის ფილტრული ნაწილის მასალა - პოლიეთილენი; დიამეტრი - 160 x9,5 მ (შიგა დიამეტრი 142,0 მმ);
- ფილტრის ჩაშვების ინტ-ლი - 15,4 - 50,0 მ.

2.3. ჭაბ. №124^ა

- სიღრმე - 51,0 მ;
- საექსპლუატაციო კოლონის, მათ შორის ფილტრული ნაწილის მასალა - პოლიეთილენი; დიამეტრი - 160 x9,5 მმ (შიგა დიამეტრი 142,0 მმ);
- ფილტრის ჩაშვების ინტ-ლი - 20,0 - 51,0 მ.

2.4. ჭაბ. №129

- სიღრმე - 50,0 მ;
- საექსპლუატაციო კოლონის, მათ შორის ფილტრული ნაწილის მასალა - პოლიეთილენი; დიამეტრი - 160 x9,5 მმ (შიგა დიამეტრი 142,0 მმ);
- ფილტრის ჩაშვების ინტ-ლი - 20,0 - 50,0 მ.

3. ჩასატარებელი სამუშაოების მიზანი:

- ჭაბურღილების, რომლებიდანაც ხდება „ბორჯომის“ წყლის მოპოვება ჩასაძირი ელტუმბოების გამოყენებით, საექსპლუატაციო კოლონის ფილტრული ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და მექანიკური ამოწმება; რადგან ჭაბურღილების დებიტი მნიშვნელოვნად შემცირდა.
- ჭაბურღილების დებიტის შემცირების ძირითადი მიზეზი უნდა იყოს ფილტრული ნაწილის ირგვლივ ქვიშიანი მასალის დალამვა, აგრეთვე ინკრუსტაცია - წყლოვანი ქანებიდან არაორგანული და ორგანული მყარი ნაწილაკების გამოყოფა და მათი დალექვა ფილტრის კედლებზე და ნახვრეტებზე.

4. ჩასატარებელი ძირითადი სამუშაოები:

ჭაბურღილების ერთიდაიგივე სიღრმის, ფილტრული ნაწილის თითქმის ერთიდაიგივე სიღრმის და მინერალური წყლის მინერალიზაციის ერთიდაიგივე სიდიდის გათვალისწინებით, ყველა ჭაბურღილზე ჩასატარებელია ერთიდაიგივე სამუშაოები, მათ შორის:

- 4.1. ჭაბურღილის პირზე არსებული ლითონის პავილიონების დემონტაჟი ამწეს გამოყენებით;
- 4.2. ჭაბურღილის საექსპლუატაციო კოლონის ჩასაძირი ელტუმბოს ამოღება;
- 4.3. ჭაბურღილის საექსპლუატაციო კოლონის შესწავლა ვიდეოთვალის გამოყენებით;
- 4.4. ჭაბურღილის საექსპლუატაციო კოლონის შაბლონირება სპეციალური საკერნე მილით თვითმავალი საბურღი დანადგარის გამოყენებით;
- 4.5. ჭაბურღილის საექსპლუატაციო კოლონის ფილტრული ნაწილის გაწმენდა ქვიშოვანი მასალისგან ერლიფტის მეთოდით, თვითმავალი საბურღი დანადგარისა და კომპრესორის გამოყენებით;
- 4.6. საექსპლუატაციო კოლონის შიგა მხარეზე ნალექის (ნადების) მოცილება სპეციალური „ერშით“, თვითმავალი საბურღი დანადგარის გამოყენებით;
- 4.7. საექსპლუატაციო კოლონის ამორეცხვა სუფთა წყლით ერლიფტის მეთოდით, თვითმავალი საბურღი დანადგარის და კომპრესორის გამოყენებით;
- 4.8. საექსპლუატაციო კოლონის შესწავლა ვიდეოთვალის ჩატარებული სამუშაოს შემდეგ;
- 4.9. საექსპლუატაციო კოლონის ამორეცხვისას გამოყენებული წყლის სანიტარული ზონიდან მოსაცილებელი საკანალიზაციო ქსელის მონტაჟი და დემონტაჟი;
- 4.10. ჭაბურღილის პირზე ლითონისგან დამზადებული პავილიონის (ჯიხურის) მონტაჟი ამწეს გამოყენებით;

5. სამუშაოები უნდა ჩატარდეს ჭაბურღილების პირველი, მკაცრი დაცვის სანიტარული ზონის ფარგლებში, შესაბამისად მკაცრად უნდა იყოს დაცული თვითმავალი საბურღი დანადგარის და კომპრესორის მონტაჟის, მუშაობის და დემონტაჟის მოთხოვნები, აგრეთვე საწვავ - საპოხი მასალების პირობები;
6. ჭაბურღილის სანიტარული და ჰიდროგეოლოგიური პირობების სრულად დაცვისათვის დაუშვებელია ამორეცხვისას გამოყენებული იყოს დაბინძურებული ან საეჭვო ქიმიური შედეგნილობის წყალი.
7. ამორეცხვა - ამოწმენდისათვის საჭირო წყლის გამოყენება უნდა მოხდეს ქვეუბანი „ფაფა“-ს სანიტარულ ზონაში არსებული №123^ა ჭაბურღილიდან, ცასადირი ტუმბოს გამოყენებით.
8. ჭაბურღილის საექსპლუატაციო კოლონაში ხელსაწყოების და მოწყობილობების ჩაშვება (გამოყენება) უნდა მოხდეს მათი სუფთა წყლით (ჭაბ. №123^ა-დან ამოღებული წყლით) გარეცხვა.
9. სამუშაო უბანზე მუშაობის პერიოდში მკაცრად უნდა იყოს დაცული გარემოს-დაცვითი და შრომის უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნები.
10. წინამდებარე ტექნიკური დავალებით განსაზღვრული სამუშაოების სრულად შესრულებისათვის განსაზღვრულია 50 კალენდარული დღე, ნოემბერი - დეკემბრის თვეების განმავლობაში.

დამატებითი კითხვების ან დაზუსტებების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ.

lgvazava@borjomi.com

[+995577400576](tel:+995577400576)